

მართლმსაჯულება №2'09
კანონი

მოძრაობი ნივთით მოთხოვნის უზრუნველყოფა ქართულ სამართალში

თამარ ზარანდია

თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო
უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სოხუმის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი

თეა ჯუღელი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე

ქართული სამართლის მიხედვით მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებები იყოფა უზრუნველყოფის სანივთო და პიროვნულ საშუალებებად. მოთხოვნის პიროვნული უზრუნველყოფის დროს პირი კისრულობს დამატებითი ვალდებულების შესრულებას, რომელიც კრედიტორს შესაძლებლობას აძლევს დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა. ამ ჯგუფს განეკუთვნება მოვალის გარანტია, თავდებობა და საბანკო გარანტია. სანივთო უზრუნველყოფის საშუალებებს მიეკუთვნება გირავნობა და იპოთეკა. მათი თავისებურებაა, რომ ისინი გარანტირებულს ხდიან ვალდებულების შესრულებას მისი დარღვევის შემთხვევაში და სწორედ ამ მიზანმიმართულებით ხასიათდებიან. ზოგადადაც ქართული სამართალი სწორედ შესრულებაზეა ორიენტირებული და მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებიც არ წარმოადგენენ რაიმე დამატებითი საჯარიმო ხასიათის დატვირთვებს მოვალისათვის. ამიტომაც, ეს საშუალებები ფართოდაა გავრცელებული სამოქალაქო სამართალში. მეტად მნიშვნელოვანია ამ ინსტიტუტების პრაქტიკული როლიც. რეალურად, ეს ინსტიტუტები ხელს

უნყოვენ კრედიტორის კანონიერი უფლებების დაცვას. ხშირ შემთხვევაში კანონი მოვალის ინტერესებსაც ითვალისწინებს.

ქართულ სამართალში მოთხოვნის უზრუნველყოფის სამართალთან დაკავშირებით კანონმდებლობამ სერიოზული ცვლილებები განიცადა და ამ ინსტიტუტების დახასიათებამდე, ორიოდ სიტყვით შევეხებით აღნიშნულ ცვლილებებს¹. აქსიომაა, რომ კანონმდებლობა სტაბილური უნდა იყოს. კანონმდებლობის სტაბილურობა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული – კანონის მიღების დროსა და სოციალურ-ეკონომიკურ რეალობაზე. არსებული საკანონმდებლო ხარვეზის ნათლად დასანახად აუცილებელია დრო, გარკვეული გამოცდილების დაგროვება. ასევე, მდიდარი სასამართლო პრაქტიკა, რომელიც მიანიშნებს ამ ხარვეზზე და განვითარებული სამართლებრივი დოქტრინა, რომელიც აღიარებს ხარვეზის არსებობას და საგულდაგულოდ შეისწავლის პრობლემას. კანონმდებლობაში გვხვდება ისეთი ხარვეზები, რომელთა თმენაც ნაკლებად საზიანოა, ვიდრე ხშირი ცვლილებები კანონმდებლობაში. მით უმეტეს გარდამავალი ეკონომიკის სახელმწიფოებში, საკანონმდებლო ხარვეზი მრავლად შეიძლება არსებობდეს, მაგრამ თუ ყოველ ახალ ხარვეზს მოჰყვა დაუყოვნებელი საკანონმდებლო ცვლილება, საკანონმდებლო სტაბილურობა ვერასოდეს მიიღწევა².

2005 წლის ცვლილებების შემდგომ, კანონმდებლობით ერთმანეთისაგან მკვეთრად გაიმიჯნა სახელშეკრულებო და კანონისმიერი გირავნობა. თუმცა, იგი კოდექსის ადრეულ რედაქციაშიც იყო და შემდგომ დაკონკრეტდა დოქტრინაში, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის კომენტარებში³. ასევე, ცვლილებები შეეხო ამონაგები თანხის განაწილებას, რეალიზაციის გზების გაზრდას და სხვა საკითხებს, რომელთაც ქვემოთ შევეხებით.

უძრავი ნივთები ასევე, გამოიყენება მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად და ამ შემთხვევაში სახეზეა იპოთეკა. ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ ქართულ სამართლებრივ დოქტრინაში ერთი პერიოდი აქტიურად განიხილებოდა უზრუნველყოფითი საკუთრების, როგორც სანივთო უზრუნველყოფის საკითხი⁴. ქართულ დოქტრინაში უზრუნველყოფითი საკუთრების საკითხს პირველად, პროფესორი ლადო ჭანტურია შეეხო⁵. უზრუნველყოფითი საკუთრების საკითხზე მსჯელობდა ასევე, ბესარიონ ზოიძე სახელმძღვანელოში „ქართული სანივთო სამართალი“⁶.

მოვალის ან მესამე პირის მოძრავი ნივთი ან/და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომლის სხვა პირთათვის გადაცემა დასაშვებია, შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ფულადი, ასევე არაფულადი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად, ისე რომ კრედიტორი (მოგირავნე) იძენს უფლებას, დაიკმაყოფილოს მოთხოვნა დაგირავებული ქონების (გირავნობის საგნის) რეალიზაციით ან მხარეთა შეთანხმებით – მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მისი საკუთრებაში მიღებით. თავდაპირველად უნდა ითქვას, რომ 2005 წელს განხორციელებული ცვლილებების შემდეგ, აღნიშნულმა მუხლმა 2007 წელს კვლავ განიცადა ცვლილება.⁷

როგორც განსაზღვრებიდან ჩანს, გირავნობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ფულადი, ისე არაფულადი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად. თუმცა, დოქტრინაში არსებობს მოსაზრება, რომ არაფულადი მოთხოვნის კონტექსტში გირავნობის ინსტიტუტის გამოყენება იმდენად არაბუნებრივია, რომ კანონმდებელი იძულებული გახდა ეს შემთხვევა კიდევ უფრო დაეკონკრეტებინა, თუმცა, ამით კიდევ უფრო მეტი გაურკვეველობა წარმოიშვა. კერძოდ, „გირავნობა, რომელიც უზრუნველყოფს არაფულად მოთხოვნას, მხოლოდ იმ შემთხვევაშია ნამდვილი, თუ შესაძლებელია მისი გამოხატვა ფულადი ფორმით“ (254-ე მუხლის მე-4 ნაწილი)⁸.

გირავნობა კრედიტის უზრუნველყოფის მეტად გავრცელებული საშუალებაა. მოძრავი ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა გადაცემაც სხვა პირთათვის დასაშვებია,

შეიძლება გამოყენებულ იქნეს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად და კრედიტორი (მოგირავნე) იძენს სხვა კრედიტორთან შედარებით უპირატეს უფლებას, დაიკმაყოფილოს მოთხოვნა დაგირავებული ქონების ხარჯზე. ამდენად, გირავნობის უფლება შეიძლება დადგინდეს მხოლოდ გადაცემაუნარიან არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებზე – უფლებებსა და მოთხოვნებზე.

ჩვეულებრივი წესით, როგორც იპოთეკის შემთხვევაში, გირავნობის უფლება არ ვრცელდება გირაოს საგნიდან მიღებულ ნაყოფზე, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

გირავნობით ხდება კონკრეტული მოთხოვნის უზრუნველყოფა. ასეთი მოთხოვნა შეიძლება მოდიოდეს სესხიდან, დელიქტიდან, ანდა უსაფუძვლო გამდიდრებიდან. არაა აუცილებელი ეს იყოს ფულადი მოთხოვნა⁹. გირავნობა შეიძლება გავრცელდეს პროცენტსა და პირგასამტეხლოზე. ასევე, ვადის გადაცილებიდან გამომდინარე ზიანი ან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, რომელიც ვალდებულების შეუსრულებლობას ახლავს, უზრუნველყოფილი მოთხოვნის ანგარიშში შედის. ამავდროულად, მხარეებს შეუძლიათ ხელშეკრულებით დაადგინონ სხვაგვარი წესიც, მაგალითად, დამგირავებელმა და მოგირავნემ გირავნობის ხელშეკრულებით შეიძლება დაადგინონ, რომ სესხის პროცენტის უზრუნველყოფა არ ხდება გირავნობით.

სამოქალაქო კოდექსი იცნობს გირავნობის ორ სახეს – სახელშეკრულებო და კანონისმიერი გირავნობა. ასევე, საპროცესო სამართალი ითვალისწინებს ყადაღისმიერი გირავნობის ცნებას. ამათგან ყველაზე გავრცელებულია სახელშეკრულებო გირავნობა. იგი წარმოადგენს მხარეთა შეთანხმების რეზულტატს და ამდენად მოვალის დაუკითხავად, მისი თავისუფალი გადაწყვეტილების გარეშე არც წარმოიშობა.

კანონისმიერი გირავნობის თვისებაა, რომ გირავნობის უფლება მოვალისაგან დაუკითხავად ჩნდება, ეს უფლება კანონითაა გათვალისწინებული და ამდენად, კანონის ნორმატიული ნების შედეგია. მოვალემ, როგორც სახელშეკრულებო ურთიერთობის უშუალო მონაწილემ იცის ამ უფლების შესახებ. კანონისმიერი გირავნობა ძირითადად, გამოიყენება გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობებში. ასე მაგალითად, თუ ბინის დამქირავებელმა არ გადაიხადა ბინის ქირა, გამქირავებელს აქვს გირავნობის უფლება დამქირავებლის მიერ ბინაში შეტანილ ნივთებზე.¹⁰ ასევეა მაგალითად, საიჯარო ურთიერთობებში, მეიჯარეს თავისი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად აქვს გირავნობის უფლება მოიჯარის მიერ შემატებულ ნივთებსა და საიჯარო ქონებიდან მიღებულ შემოსავალზე (ნაყოფზე).¹¹ საერთოდ, უნდა ითქვას, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 267-ე მუხლის მესამე ნაწილი ამომწურავად ჩამოთვლის კანონისმიერი გირავნობის ყველა შემთხვევას. საკანონმდებლო სიახლეა, რომ კანონისმიერი გირავნობის შემთხვევაში, მოგირავნეს აქვს გირავნობის საგნიდან თავისი მოთხოვნის უპირატესი დაკმაყოფილების უფლება¹².

ამრიგად, იმის გასარკვევად, გირავნობა კანონისმიერია თუ სახელშეკრულებო განმსაზღვრელია მისი წარმოშობის საფუძველი. ამავე დროს, ყველა შემთხვევაში ისინი სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული საერთო პრინციპებს ემორჩილებიან.

სახელშეკრულებო გირავნობა თავის მხრივ, ორი სახისაა – მფლობელობითი გირავნობა და რეგისტრირებული გირავნობა. როგორც ადრე აღინიშნა, ასეთი გამიჯვნა იყო სამოქალაქო კოდექსის ძველ რედაქციაშიც და შესაბამის სამართლებრივ დოქტრინაშიც. თუმცა, ცვლილებების შემდეგ, იგი უფრო გამოიკვეთა. მფლობელობითი გირავნობა წარმოიშობა მხარეთა შეთანხმებისა და ნივთის მოგირავნის ან მოგირავნის მიერ განსაზღვრული მესამე პირის მფლობელობაში გადაცემის გზით, ხოლო რაც შეეხება რეგისტრირებულ გირავნობას, მისი წარმოშობისათვის აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და ამ გარიგებით განსაზღვრული გირავნობის უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

მფლობელობითი გირავნობის დადგენა ხდება სანივთო გარიგებით, რომელიც შეიძლება დაიდოს როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით. შემდეგი ნიშანი, რომელიც დამახასიათებელია მფლობელობითი გირავნობისათვის, ეს არის ნივთის გადაცემა მოგირავნის ან მის მიერ განსაზღვრული მესამე პირისათვის. ამ შემთხვევაში, მოთხოვნა უზრუნველყოფილია მფლობელობით. ამავე დროს, თუ ნივთი უკვე იმყოფება ასეთი პირის მფლობელობაში, კანონმდებლობა მხარეთა შეთანხმებას საკმარისად მიიჩნევს.¹³

საინტერესოა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 260-ე მუხლი, რომელიც მფლობელობითი გირავნობის ერთ-ერთ ნაირსახეობას – ლომბარდში ნივთის დაგირავების წესს ეხება. ლომბარდში ნივთის დაგირავება ხორციელდება მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმებისა და ნივთის ლომბარდის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემის გზით (260-ე მუხლის პირველი ნაწილი). ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ლომბარდის მოთხოვნა მოვალის მიმართ წყდება იმ შემთხვევაშიც, როცა გირავნობის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა მთლიანად არ ფარავს ლომბარდის მიმართ არსებულ ვალდებულებას. ამდენად, უპირველესად, აღსანიშნავია, რომ მფლობელობითი გირავნობის სხვა შემთხვევებისაგან განსხვავებით გარიგების წერილობით გაფორმება არსებითი მომენტია, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმე გვექნება ფორმის დაუცველად დადებულ გარიგებასთან. ამავე დროს, კანონი ადგენს მეორე სპეციალურ წესს, რომელიც ლომბარდთან დაკავშირებით მოქმედებს, მაგრამ განსხვავებით პირველი შემთხვევისაგან, სახეზეა დისპოზიციური ნორმა. კერძოდ, თუ მხარეებმა ერთმანეთს შორის შეთანხმებით არ გაითვალისწინეს საწინააღმდეგო, ლომბარდის მოთხოვნა მოვალის მიმართ წყდება მაშინაც, როცა ამონაგები თანხა მთლიანად ვერ ფარავს არსებულ ვალდებულებას. ერთი შეხედვით, ეს მუხლი მოვალის ინტერესების დაცვას ემსახურება, მაგრამ ძნელი სათქმელია რამდენად ეფექტიანია ამგვარი დაცვა. ვფიქრობთ, ნაკლებსავარაუდოა, რომ ლომბარდმა აღნიშნული არ გაითვალისწინოს კონტრაქტისათვის შეთავაზებულ ტიპურ ხელშეკრულებებში.

რეგისტრირებული გირავნობის შემთხვევაში, გირავნობას უზრუნველყოფს არა ნივთის მფლობელობაში გადაცემა, არამედ რეგისტრაციის ფაქტი. ხელშეკრულება რეგისტრირებული გირავნობის თაობაზე ასევე, მოითხოვს წერილობითი ფორმის დაცვას¹⁴. სამოქალაქო კოდექსის 258-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოთვლის იმ აუცილებელ რეკვიზიტებს, რაც უნდა აისახოს გარიგებაში, კერძოდ:

- ა) მისი შედგენის თარიღი;
- ბ) მონაცემები მოგირავნის, დამგირავებლის, შესაძლო მოვალე მესამე პირის შესახებ;
- გ) გირავნობის საგნის ზოგადი ან სპეციალური ნიშნებით აღწერა, ისე, რომ შესაძლებელი იყოს მისი განსაზღვრა;
- დ) უზრუნველყოფილი ძირითადი მოთხოვნის ზოგადი ან კონკრეტული აღწერა და მაქსიმალური თანხა, რომლის ფარგლებშიც უნდა დაკმაყოფილდეს უზრუნველყოფილი მოთხოვნა;

ზოგადი წესისაგან განსხვავებულია მექანიკურ-სატრანსპორტო საშუალებებზე რეგისტრირებული გირავნობის წარმოშობის წესი. კერძოდ, ამ შემთხვევაში აუცილებელია სანოტარო წესით დამონებული საბუთი და მისი რეგისტრაცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში¹⁵.

ფასიან ქალაქობებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ „ფასიანი ქალაქობების დაგირავება ხორციელდება მათი შექმნისათვის დადგენილი წესით. საჯარო ფასიანი ქალაქობების დაგირავების წესი „ფასიანი ქალაქობების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განისაზღვრება¹⁶.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 254-მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, გირავნობა დასაშვებია მხოლოდ მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებზე, მაშინ როცა იპოთეკის საგანი მხოლოდ და მხოლოდ უძრავი ქონებაა. გირავნობა ისტორიულად იპოთეკასაც მოიცავდა და როგორც მოძრავი, ასევე უძრავი ნივთები შეადგენდნენ გირავნობის საგანს.

გირაოდ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ისეთი სიკეთე, რომელთა ფლობა, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შექენაც შეიძლება შეუზღუდავად. გირაოდ შეიძლება გამოყენებულ იქნეს არამატერიალური ქონებრივი სიკეთეებიც. ასეთი სიკეთე კი, 152-ე მუხლით, არის ის მოთხოვნები და უფლებები, რომლებიც შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს, ან გამიზნულია საიმისოდ, რომ მათ მფლობელს შეექმნას მატერიალური სარგებელი ანდა მიენიჭოს უფლება მოსთხოვოს სხვა პირს რაიმე.

მოძრავია ყველა ნივთი, რომლებიც არ განეკუთვნებიან სამოქალაქო კოდექსის 149-ე მუხლით განსაზღვრულ ნივთებს. თუმცა, ყოველგვარი მოძრავი ნივთიც არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს გირავნობის საგნად. მაგალითად, პასპორტი, მართვის მოწმობა, დიპლომი და ა.შ. გარეგნულად განეკუთვნებიან ნივთებს, მაგრამ მათი დაგირავება არ შეიძლება.

ნივთის საკუთვნივთი გირაოუნარიანია. საკუთვნივთზე გირავნობა არ იწვევს მთავარი ნივთის გირავნობასაც, მაშინ როცა ამ უკანასკნელის გირავნობისას ივარაუდება, რომ საკუთვნივთი დაგირავებულია. საკუთვნივთის გირავნობა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როცა იგი გამოცალკევებულია მთავარი ნივთისაგან და მისი გამოყენება დამოუკიდებლად შესაძლებელია. თუ საკუთვნივთზე გირავნობის გავრცელება საეჭვოა, გირავნობის გავრცელება ნივთის არსებით შემადგენელ ნაწილზე ეჭვს არ იწვევს.

სსკ 254-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, გირავნობის უფლება შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამომავლო ან პირობით მოთხოვნებზეც. სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების განხორციელებამდე აღნიშნული ნორმა გვხვებოდა 254-ე მუხლის მეორე ნაწილში და იგი აკონკრეტებდა, რომ გირავნობის უფლება შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამომავლო ან პირობით მოთხოვნებზე, თუკი ეს მოთხოვნები გირავნობის წარმოშობის მომენტისათვის შეიძლება განისაზღვროს. საინტერესოა, რომ სსკ 254-ე მუხლის მესამე ნაწილის ახალი რედაქცია არ უთითებს, რომ სამომავლო ან პირადი მოთხოვნები უნდა იყოს განსაზღვრული, მაგრამ მაინც მიიჩნევა, რომ „განსაზღვრადობის კრიტერიუმი სავალდებულოდ უნდა მივიჩნიოთ“¹⁷.

ვერ იქნება გირავნობის საგანი ნივთთა ერთობლიობა, მაგალითად, როგორცაა სასაქონლო საწყობი ან ბიბლიოთეკა. ეს გამომდინარეობს სპეციალურობის სანივთო-სამართლებრივი პრინციპიდან. სანივთო-სამართლებრივი პოზიცია ყოველთვის ეხება მხოლოდ ცალკეულ ნივთებს. ამიტომაცაა, რომ გირავნობის საგანი ამ შემთხვევაში, შეიძლება იყოს მხოლოდ სასაქონლო საწყობში არსებული კონკრეტული ნივთი, ან კიდევ ბიბლიოთეკაში არსებული რომელიმე კონკრეტული ნივთი. გირავნობის დამოუკიდებელი საგანი შეიძლება იყოს თანასაკუთრებაში არსებული წილი, ამის თაობაზე არაერთგან საუბრობს ქართული დოქტრინა¹⁸.

გირავნობის ურთიერთობის სუბიექტური შემადგენლობა გარკვეული მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ამ ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტები შეიძლება იყვნენ: მოგირავნე, დამგირავებელი, პირადი მოვალე, მესაკუთრე (მესამე პირი). თავისი უმარტივესი ფორმით ეს ურთიერთობა მარტოდენ ორი სუბიექტის – მოგირავნისა და დამგირავებლის ურთიერთობაა. პირადი მოვალე და მესაკუთრე ერთი პირია და დამგირავებლის მხარეს წარმოადგენს. დამგირავებელი არის პირი, რომელიც მოძრავ ნივთს ან არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს იყენებს ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებად. მოგირავნე არის პირი, კრედიტორი, რომელიც თავისი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად იყენებს დამგირავებლის ნივთს.

გირავნობის უფლება აქცესორული უფლებაა. აქცესორულია უფლება, რომელიც ისეა დაკავშირებული სხვა უფლებასთან, რომ მის გარეშე არც შეიძლება არსებობდეს.¹⁹ ამდენად, გირავნობის უფლება, ისევე როგორც იპოთეკა, არის დამატებითი ხასიათის უფლება და არ არსებობს ძირითადი უფლების გარეშე. გირავნობა შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს რაღაც ვალდებულება (მოთხოვნა). თუ ასეთი ვალდებულება არ არსებობს, მაშინ არც გირავნობა წარმოიშობა და პირიქით, თუ ძირითადი ვალდებულება შესრულებულია ან სხვაგვარად შეწყდა, წყდება გირავნობაც.

მოდრავ ნივთებზე საკუთრების შექმნის ყველაზე გავრცელებული საშუალებაა ნივთის გადაცემა შემძენისათვის. ამიტომ მოძრავი ნივთის დაგირავების ყველაზე გავრცელებული და იოლი გზაა ნივთის გადაცემა მოგირავნისათვის. ამას კანონმდებლობა მფლობელობითი გირავნობის შემოღებით აღწევს. ასევე, გავრცელებულია შემთხვევები, როდესაც დამგირავებელი მოგირავნეს კი არ გადასცემს ნივთს, არამედ გადასცემს მას მესამე პირს, რომელსაც ენდობა მოგირავნე.

გირავნობის სახეობის (მფლობელობითი თუ კანონისმიერი) მიხედვით განსხვავებულია დამგირავებელსა და მოგირავნეს შორის არსებული უფლება ვალდებულებანი. მფლობელობითი გირავნობისას მოგირავნე ვალდებულია სათანადოდ მოუაროს მისთვის გადაცემულ საგანს. ამ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, დამგირავებელს უფლება აქვს მოითხოვოს გირავნობის საგნის გადაცემა მესამე პირისათვის. მოგირავნე უფლებამოსილია ამ საგნისაგან მიიღოს ნაყოფი, თუ ნაყოფის მიღება გირავნობის საგნის თვისებიდან გამომდინარეობს. მიღებული სარგებელი ჩაითვლება უზრუნველყოფილი მოთხოვნის ანგარიშში.²⁰ მოგირავნე უფლებამოსილია დამგირავებლისაგან მოითხოვოს საგანზე განუხლებელი დანახარჯების ანაზღაურება.

გირავნობის ვადის გასვლის შემდეგ, მოგირავნე ვალდებულია დაუბრუნოს გირაო დამგირავებელს, თუკი ამ უკანასკნელმა ვალდებულება შეასრულა დროულად და აღარ არის საჭირო გირაოს რეალიზაცია.

გირავნობის ფორმა და გირაოს მფლობელობა ერთმანეთთან პირდაპირ დამოკიდებულებაშია. შესაძლებელია მოძრავი ნივთის დაგირავება იმ პირობით, რომ გირავნობის საგანი არ გადავიდეს მოგირავნის მფლობელობაში და დარჩეს დამგირავებელთან. ასეთ შემთხვევაში, მოგირავნეს განსაზღვრული გარანტიები სჭირდება. ერთ-ერთი ასეთი გარანტიაა გირავნობის რეგისტრაცია. გირავნობის რეგისტრაცია ხდება 258-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული წესით საჯარო რეგისტრში.

სანოტარო წესით გირავნობის გაფორმებისას, დამგირავებელი ვალდებული არ არის ამის შესახებ აცნობოს კრედიტორს ან სხვა მესამე პირებს. კანონი იმპერატიულ მოთხოვნებს უყენებს ნოტარიუსის მიერ დამონმებულ გირავნობის დოკუმენტებს, კერძოდ, იგი უნდა შეიცავდეს დამგირავებლისა და მოგირავნის ვინაობას. ასევე, უნდა აღინიშნოს უზრუნველყოფის მოთხოვნის მოცულობა, სარგებელი და მოთხოვნის დაკმაყოფილების ვადა. სხვა შემთხვევაში, სავარაუდოა, რომ გირავნობა წარმოიშობა სანივთო შეთანხმებისა და გირაოს მოგირავნის ხელში გადაცემით. მოგირავნის მიერ გირავნობის მფლობელობა აადვილებს გირავნობის ურთიერთობის მტკიცებულებას.

ინდოსირებად ფასიანი ქაღალდებზე საკუთრების გადაცემას თავისებურება ახასიათებს. კერძოდ, ასეთი ფასიანი ქაღალდების მეორე მხარეზე აღინიშნება ყოველი ახალი შემძენის ვინაობა. ეს ნიშნავს რომ, თუ გირავდება სახელობითი აქცია ან სახელობითი ობლიგაცია, აუცილებელია ინდოსირება, ე.ი. ამ ქაღალდზე მოგირავნის აღნიშვნა.

276-ე მუხლის მიხედვით მოგირავნის დაკმაყოფილება ხდება გირავნობის საგნის რეალიზაციით, ან მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით დაგირავებული ნივთის მოგირავნის საკუთრებაში გადაცემით თუ კანონით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. განსხვავებით ადრინდელი რედაქციისაგან, მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ითვლება მაშინაც, როცა გირავნობის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა საკმარისი არ არის გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დასაფარავად, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

გირავნობის საგნის რეალიზაციის ან მის საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნის უფლება მოგირავნეს აქვს მოვალის მიერ გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში.

რაც შეეხება დაგირავებული ნივთის საკუთრებაში გადასვლის საკითხს. აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო კოდექსის ძველი რედაქცია ითვალისწინებდა პირდაპირ აკრძალვას, რომლის თანახმადაც, მოძრავი ნივთის მოგირავნის საკუთრებაში პირდაპირ გადასვლასთან დაკავშირებით დადებული გარიგება იყო ბათილი²¹. კანონის ამ ნორმის მიზანი იყო დამგირავებლის დაცვა, რადგან როგორც წესი, დაგირავებული ნივთის ან მოთხოვნის ღირებულება გაცილებით მეტია, ვიდრე უზრუნველყოფილი მოთხოვნა. შესაბამისად, ასეთი აკრძალვა და ვალდებულება ნივთი გაყიდულიყო აუქციონის წესით, უზრუნველყოფდა გირაოს საგნის მეტნაკლებად სამართლიან ფასს. საწინააღმდეგო მონესრიგება, ქართულ დოქტრინაში გავრცელებული მოსაზრებით „ენინააღმდეგებოდა მხარეთა ეკვივალენტური ურთიერთობის მოთხოვნებს“²². ქართულ დოქტრინაში იყო მოსაზრება, რომ გირაოს გადასვლა ავტომატურად მოგირავნის საკუთრებაში უნდა შეფასდეს უსაფუძვლო გამდიდრებად და ამ დროს გამოყენებული უნდა იქნეს უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ წესები.²³ სამოქალაქო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად აღნიშნულ საკითხთან მიმართებით კანონმდებლობის პოზიცია კარდინალურად შეიცვალა. მოქმედმა რედაქციამ დაუშვა ნივთის მოგირავნის საკუთრებაში პირდაპირ გადასვლის შესაძლებლობა. „დაგირავებული ნივთი შეიძლება გადავიდეს მოგირავნის საკუთრებაში მხოლოდ რეგისტრირებული გირავნობის შემთხვევაში და ამის შესახებ პირდაპირ უნდა აღინიშნოს ხელშეკრულებაში.“²⁴

სიახლეებია გირაოს რეალიზაციის წესში. აღნიშნულთან დაკავშირებით, სამოქალაქო კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით გირავნობის საგნის რეალიზაციის წესი გამარტივდა. თუმცა, 260-ე მუხლით დადგენილი მოგირავნის საკუთრებაში ნივთის პირდაპირი გადასვლის წესი ნამდვილად სადავოა და მის მსგავს მონესრიგებაზე ჯერ კიდევ, 326 წელს, იმპერატორმა კონსტანტინემ თქვა უარი, რადგან ხშირ შემთხვევაში, ეს წესი დამგირავებელს მძიმე მდგომარეობაში აგდებდა. ამ კონტექსტში საინტერესოა სამოქალაქო კოდექსის 276-ე მუხლის მეორე ნაწილი, რომლის თანახმადაც, მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც გირავნობის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა საკმარისი არ არის გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დასაფარავად ან გირავნობის საგნის ღირებულება მთლიანად არ ფარავს ამ მოთხოვნის ოდენობას, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ნორმის ასეთი ფორმულირების მიმართ ქართულ სამართლებრივ დოქტრინაში უკვე გამოითქვა გარკვეული შენიშვნები, კერძოდ. „კანონმდებლის ასეთი პოზიცია არ უნდა ჩაითვალოს მართებულად, ვინაიდან მოგირავნეს არ უნდა მოვუსპოთ კუთვნილი მოთხოვნის დაუკმაყოფილებელ ნაწილში დაკმაყოფილების შესაძლებლობა სხვა საშუალებით, თუნდაც, მას გირავნობის ხელშეკრულების დადებისას საწინააღმდეგო წესზე პირდაპირი შეთანხმება გამოორჩა.“²⁵

შენიშვნები:

- 1 2005 წლის 30 ივნისის კანონით ცვლილებები შევიდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში და მნიშვნელოვნად შეიცვალა არსებული მონესრიგება. თუმცა, როგორც აღნიშნავდა პროფესორი ლადო ჭანტურია თავის წერილში, აღნიშნული ცვლილებები მხოლოდ რედაქციული ხასიათის იყო. ლადო ჭანტურია, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი სამოქალაქო კოდექსი 10 წლისაა, გაზეთი „24 საათი“, 2007 წლის 30 ივნისი.
- 2 იხ.: ცვლილებებთან დაკავშირებით, თამარ ზარანდია, „საქართველოს კანონის პროექტი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე – გირავნობის ინსტიტუტთან დაკავშირებით“, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2005, №2, გვ. 175-178.
- 3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, თბ., 1999, გვ. 198.
- 4 იხ.: ჰაინ ბოლინგი, უძრავი ქონებით საკუთრების უზრუნველყოფა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით; თენგიზ ლილუაშვილი, საიუბილეო კრებული, გვ. 70-100; ბესარიონ ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, გვ. 357-360.
- 5 ლადო ჭანტურია, საკუთრება, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება, თბ., 1999, გვ. 95.
- 6 ბესარიონ ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, გვ. 357-360. აღსანიშნავია, რომ ქართველი მეცნიერი დასახელებული სახელმძღვანელოს ცალკე თავში – „უზრუნველყოფითი საკუთრება, როგორც იპოთეკის დამხმარე ინსტიტუტი“ განიხილავს უზრუნველყოფითი საკუთრების საკითხს, რომლითაც მოხდება იპოთეკისათვის დამახასიათებელი ნაკლოვანებების სუბსიდირება.
- 7 2007 წლის 29 ივნისის ცვლილებების მიხედვით.
- 8 ლადო ჭანტურია, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი სამოქალაქო კოდექსი 10 წლისაა, გაზეთი „24 საათი“, 2007 წლის 30 ივნისი.
- 9 ბესარიონ ზოიძე, სანივთო სამართალი, თბ., 2003, გვ. 284.
- 10 ქირავნობის ურთიერთობიდან გამომდინარე, მოთხოვნის უზრუნველსაყოფად მიწის ნაკვეთის, სახლის ან ზინის გამქირავებელს აქვს გირავნობის უფლება დამქირავებლის მიერ იქ შეტანილ ნივთებზე. ქირავნობის უფლება ძალას კარგავს დაქირავებული ფართობიდან ნივთების მოცილებასთან ერთად, თუკი ეს განხორციელდა ჩვეულებრივი ცხოვრებისეული ურთიერთობების შესაბამისად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 258.
- 11 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 596-ე მუხლი.
- 12 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 267-ე მუხლის მესამე ნაწილი.
- 13 სსკ 257-ე მუხლის მე-2 ნაწილი.
- 14 სსკ 258-ე მუხლი.
- 15 სსკ 258-ე მუხლის მე-4 ნაწილი.
- 16 სსკ 259-ე მუხლის მე-3 ნაწილი.
- 17 ზურაბ ჭეჭელაშვილი, სანივთო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2008, გვ. 404.
- 18 ბესარიონ ზოიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 289.
- 19 სსკ 153-ე მუხლი.
- 20 სსკ 261-ე მუხლის მე-2 ნაწილი.
- 21 ბათილია ისეთი შეთანხმება, რომლითაც გირავნობის საგანზე საკუთრება პირდაპირ გადადის მოგირავნეზე, თუ მისი მოთხოვნა არ იქნება დაკმაყოფილებული ან დროულად ვერ დაკმაყოფილდება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 273-ე მუხლის თავდაპირველი რედაქცია.
- 22 ბესარიონ ზოიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 305.
- 23 ლადო ჭანტურია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, თბ., 1999, გვ. 233; ასევე, იხ.: ბესარიონ ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, გვ. 306.
- 24 სსკ 260 მუხლი.
- 25 ზურაბ ჭეჭელაშვილი, სანივთო სამართალი, გვ. 423.

Securing Claims with Movable Estate in The Georgian Law

TAMAR ZARANDIA

*Full Professor Tbilisi State Economic University,
Dean of the Law Faculty Sokhumi State University*

TEA JUGELI

Deputy Dean of the Law Faculty Ivane Javakishvili Tbilisi State University

According to the Georgian law the securing remedies are divided into real and personal remedies. In cases of personal securing of claims a person takes over additional obligations enabling the creditor to satisfy its claim. A debtor guarantee, suretyship and bank guarantee fall under this group. Mortgages and pawns fall under real security. Their peculiarity is that they guarantee the fulfillment of an obligation in case of its violation and they are characterized by its purposefulness. In general, the Georgian law is oriented on the fulfillment and the securing remedies of the claims do not represent any additional fines for the debtor. Therefore, these remedies are widely used in civil law. The practical role of these institutions is also very important. In reality, these institutions support protection of the creditor's legal rights. Frequently, the law anticipates the interests of the debtor as well.

With regard to securing claims in the Georgian law the legislation has been significantly amended and prior to the description of these institutions we should briefly discuss these changes. It is an axiom that the legislation must be stabile. The stability of legislation depends on numerous factors – the time of the adoption of the law and social-economic reality. In order to clearly see the existing deficiency in the legislation time and accumulation of experience is required. Furthermore, a rich court practice that reveals this deficiency and a developed legal doctrine that exposes existence of the deficiency and will carefully study the problem. In the legislation there are deficiencies existence of which is less harmful than frequent changes in the legislation. Especially in the countries of transitional economies numerous legislative deficiencies may exist however if every new deficiency will be followed by an immediate legislative amendment, legislative stability will never be achieved.